შ.პ.ს. “ ედრი + ”

ვამტკიცებ შ.პ.ს. “ედრი+” დირექტორი

ი. მანწკავა



საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, ქავთარაძის ქუჩა 122-ე სკოლის მიმდებარედ, ნაკვეთი №40/124. შერეული ფუნქციის შენობის (მუსიკალური სტუდია, საოფისე და კომერციული ფართები) კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

თბილისი 2019 წ

დავალების თანახმად საჭიროა შედგეს საექსპერტო დასკვნა, ქ. თბილისი, ქავთარაძის ქუჩა 122-ე სკოლის მიმდებარედ, ნაკვეთი №40/124. შერეული ფუნქციის შენობის (მუსიკალური სტუდია, საოფისე და კომერციული ფართები) კორექტირებული პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ უ ლ ი მ ა ს ა ლ ე ბ ი:

1. ქ. თბილისი, ქავთარაძის ქუჩა 122-ე სკოლის მიმდებარედ, ნაკვეთი №40/124. შერეული ფუნქციის შენობის (მუსიკალური სტუდია, საოფისე და კომერციული ფართები) კორექტირებული პროექტის არქიტექტურული ნაწილი;
2. ქ. თბილისი, ქავთარაძის ქუჩა 122-ე სკოლის მიმდებარედ, ნაკვეთი №40/124. შერეული ფუნქციის შენობის (მუსიკალური სტუდია, საოფისე და კომერციული ფართები) კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი;
3. ქ. თბილისი, ქავთარაძის ქუჩა 122-ე სკოლის მიმდებარედ, ნაკვეთი №40/124. შერეული ფუნქციის შენობის (მუსიკალური სტუდია, საოფისე და კომერციული ფართები) მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორიის საინჟინრო გეოლოგიური პირობები.
4. ქ. თბილისი, ქავთარაძის ქუჩა 122-ე სკოლის მიმდებარედ, ნაკვეთი №40/124. შერეული ფუნქციის შენობის (მუსიკალური სტუდია, საოფისე და კომერციული ფართები) კომპიუტერული გაანგარიშების შედეგები

პროექტი დამუშავებულია შ.პ.ს. “კეი ენდ კეი”-ს მიერ, დირექტორი ე. კლდიაშვილი, პროექტის მთ. არქიტიტექტორი თ. კლდიაშვილი მთ. კონსტრუქტორი ლ. მჭედლიშვილი.

მოცემული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია შესაბამისი არქიტექტურული პროექტის და საქართველოში მოქმედი სათანადო ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე.

ნაგებობა გაანგარიშებულია დატვირთვების შემდეგ ზემოქმდებაზე:

სამშენებლო მოედნის სეისმიურობა - 8 ბალი;

ქარის ნორმატიული დატვირთვა - 48 კგ/მ2;

თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგ/მ2.

შენობის მზიდი სივრცითი კონსტრუქციული სისტემა და ფუძე-საძირკვლები გაანგარიშებულია "LIRA SAPR2011" საანგარიშო კომპლექსის გამოყენებით და გაანგარიშებულია სპექტრული მეთოდით..

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით დასაპროექტებელი ნაგებობა გეგმაში ტრაპეციული მოხაზულობისაა ღერძებში მაქსიმალური ზომებით 22,70X20,75 მ, შენობის ნაწილი – ერთი მალი ერთსართულიანი მიწისქვედა ავტოსადგომია, დანარჩენი ნაწილი ექვსსართულიანი დამატებით ერთი მიწისქვეშა ავტოსადგომით.

საინჟინრო-გეოლოგიური გამოკვლევების მიხედვით, რომელიც ჩატარებულია ი.ს. "მშენგეო"-ს მიერ 2009 წლის თებერვალში სამშენებლო ტერიტორია იმყოფება დამაკმაყოფილებელ საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებში. ჩატარებული კვლევების მიხედვით, სამშენებლო უბანზე გამოიყო 4 საინჟინრო გეოლოგიური ფენა.

ფენა I – ნაყარი, ღორღის, კენჭებისა და სამშენებლო ნაგვის შემადგენლობით. ნაყარი ძველია სტაბილიზირებული და საკმაოდ მკვრივი.

ფენა II - თიხნარი, ყავისფერი, პლასტიური ოდნავთაბაშირიანი, კენჭების მინარევით, 5-10%-მდე.

ფენა III - თიხები, ყავისფერი, პლასტიური კენჭნარისა და ხვინჭის ჩანართებით, 5-30%-მდე.

ფენა IV - ძირითადი ქანები, თაბაშირიანი ქვიშაქვებისა და არგელიტების მორიგეობა, ძლიერგამოფიტული

გრუნტის წყლები დაფიქსირდა ზედაპირიდან 14,9 - 16,5მ სიღრმეზე

ნაგებობის დაფუძნება ხდება თიხნარი, ყავისფერი, პლასტიური ოდნავთაბაშირიანი, კენჭების მინარევით, 5-10%-მდე, რომლებიც ხასიათდება შემდეგი მონაცემებით.

სიმკვრივე -1,96 კგ/სმ^2

შიგა ხახუნის კუთხე – 17^0

დეფორმაციის მოდული – 160 კგ/სმ^2

პირობითი საანგარიშო წინაღობა - R=1,95კგ/სმ2

საძირკვლებად მიღებულია მონოლითური რკინაბეტონის წიბოვანი ფილა 6 სართულიან ნაწილში და ლენტური, ერთსართულიან ნაწილში ფილის სისქე 450 მმ-ია, ხოლო წიბოების განივი კვეთი 500X900(h) მმ, ლენტური საძირკვლის განივი კვეთი 800X900(h) მმ. საძირკვლების ქვეშ ბეტონის მომზადება კლასით B10, სისქით 10 სმ

შენობა გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, მონოლითური რკინაბეტონის სვეტები, რიგელები და გადახურვის ფილები ხისტადაა დაკავშირებული ერთმანეთთან, ამით იქმნება ერთიანი ხისტი დიაფრაგმა, რაც მნიშვნელოვანია სეისმიური დატვირთვების მისაღებად.

მისისქვედა ნაწილში შენობას გააჩნია მონოლითური რკინაბეტონის სარდაფის კედლები, სისქით 300 მმ.

სვეტები მონოლითური რკინაბეტონისაა განივი კვეთით 500X500 მმ, ბეტონი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით B25 -ია.

რიგელები მონოლითური რკინაბეტონისაა განივი კვეთით 500X500(h)მმ, რიგელებში ბეტონი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით B22,5 -ია.

გადახურვები და კიბეები მონოლითური რკინაბეტონისაა, სისქით 18 სმ, ბეტონი კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით B22,5.

პროექტის კორექტირება ითვალისწინებს:

1. იცვლება პანდუსის დახრა (23%-ის ნაცვლად ხდება 18%)
2. იხურება ღია პანდუსი
3. შენობის შესასვლელთან არსებული პანდუსი უნარ შეზღუდული პირებისათვის იცვლება მექანიკური ამწით
4. სახურავზე ეზოს მხრიდან, წყლის გადასაყვანად დაემატა ერთი მილი
5. მთავარ შესასვლელთან კიბეს უკეთდება მოაჯირი

აღნიშნული ცვლილებები არ იქონიებს უარყოფით ზემოქმედებას შენობის ტექნიკურ მდგომარეობაზე.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ.თბილისი, ქავთარაძის ქუჩა 122-ე სკოლის მიმდებარედ, ნაკვეთი №40/124. შერეული ფუნქციის შენობის (მუსიკალური სტუდია, საოფისე და კომერციული ფართები) კორექტირებული პროექტის კონსტრუქციული ნაწილი დამუშავებულია სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით და პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს რომელიც წარმოდგენილია საექსპერტოდ, რეკომენდაცია ეძლევა განხორციელებისათვის

ექსპერტი, ინჟინერ-კონსტრუქტორი ლ. ზამბახიძე
T: 551-24-30-18

ელფოსტა: Lerizam@mail.ru

15.03. 2019 წ.